22/08/2025

MES 1 25 0001014553

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ.თბილისი, 08.08.2025
სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ
დასრულების დრო: 13:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ იოსელიანი
სხდომის მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით2025 წლის 17 ივლისს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
სხდომას ესწრებოდნენ:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. თამარ იოსელიანი - შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი — საბჭოს თავმჯდომარე;
2. ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. დავით ლეშკაშელი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
5. მიხეილ გურგენიძე - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიასისტენტ-პროფესორი;
6. ლევან მიდოდაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. სერგო ჭელიძე - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;
8. რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
9. კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
11. ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;

12. ივანე ჯაგოდნიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

- ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- ანა ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
- ქეთევან ხიზანიშვილი - თარჯიმანი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

- ნაილა ჩელებაძე - პრორექტორი;
- ელზა ფუტკარაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- თემურ ტუნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- მზია შავაძე - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი;
- ია შალამბერიძე - სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი;
- სონია ჩეჩელაშვილი - აგრარულ მეცნიერებატა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი;
- ნონა შუშანიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
- დედა ბარბარე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ავთანდილ დიასამიძე - პროფესორი;
- როინ მალაყმაძე - პროფესორი;
- ტარიელ ებრალიძე - არქეოლოგიის პროგრამმის ხელმძღვანელი;
- ლელა კუკულაძე - ქართული ლიტერატურის პროგრამის ხელმძღვანელი;
- თალიკო ბერიძე - ქართული ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნესტან მამუჭაძე - ჟურნალისტიკის პროგრამის ხელმძღვანელი;
- ბესო ბერიძე - საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი;
- ლაშა ბერიძე - პროფესორი;
- ოლეგ ჯიბაშვილი - ისტორიის პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ტრისტან გულბიანი - რექტორი;
- ჯემალ ძაგანია - პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში;
- მერაბ მეტრეველი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- კახაბერ ხვედელიძე - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი;

- მარიამ პაპიაშვილი - მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- ნინო ძაგანია - მწვრთნელთა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ქეთევან ბერიძე - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ანა აბისონაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- მილან პოლი (Milan Pol) – I საკითხი
- ეკა ლეკაშვილი - I საკითხი
- დიანა მჭედლიშვილი - I და I I საკითხი
- თამარ ძველაია - I საკითხი
- ნინო ჯოლია - I საკითხი
- მარიამ ბურმისტროვა - I საკითხი
- დავით სიხარულიძე - I I საკითხი
- ია ნაცვლიშვილი - I I საკითხი
- სოსო გაზდელიანი - I I საკითხი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

- სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
მილან პოლმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს 21 - როგორც საბაკალავრო, ისე მაგისტრატურის პროგრამა. მათგან 16 აკრედიტებულია. უნივერსიტეტს ჰყავს 650 მოქმედი სტუდენტი, ხოლო 465 სტუდენტს ამჟამად შეჩერებული აქვს სტატუსი. ექსპერტები შეთანხმდნენ, რომ უნივერსიტეტი პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეექვსე სტანდარტებთან მიმართებით მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან. მეხუთე სტანდარტი, რომელიც მოიცავს სტუდენტურ მხარდაჭერას სრულად შესაბამისობაშია სტანდარტთან. ხოლო მეშვიდე სტანდარტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ისეთი საკითხები, როგორებიცაა სტრატეგიული დაგეგმვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება, მართვის ეფექტურობა გარკვეულწილად საჭიროებს გაუმჯობესებას. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებსაც აქვს გარკვეული პოტენციალი და არის საჭიროება გაუმჯობესებისა. ამასთან, უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს ეგრეთწოდებული ნეთვორქინგი, როგორც ადგილობრივად, ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონალურ დონეზე და მეტად წარმოაჩინოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მონაწილეობა. რეკომენდაციათა დიდი ნაწილი ეხება სწავლების პროცესს. ყურადღება უნდა გამახვილდეს კურიკულუმებზეც, მათ გაუმჯობესებასა და შემდგომ

დახვეწაზე. უფრო ეფექტურად უნდა იყოს წარმოჩენილი ისეთი საკითხები, როგორიცაა შერჩევითი საგნები კურიკულუმში, ასევე კვლევის კომპონენტები და ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს ინგლისური ენის სწავლების დონეზე, რომელიც მოეთხოვებათ სტუდენტებს, როდესაც ისინი მიიღებიან უნივერსიტეტში. ყურადღება გამახვილდა კვლევით და გამოქვეყნებით კომპონენტზე, რომელიც მეტად უნდა გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს და ასევე, გასაუმჯობესებელია უშუალოდ პერსონალის შეფასების მიდგომა, რომელიც ამჟამად მოქმედებს უნივერსიტეტში. ბოლო რეკომენდაციები ეხება ინფრასტრუქტურას. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უნდა გაუმჯობესდეს სტუდენტური სივრცეების როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სხვა სივრცითი მოწყობები. გასაუმჯობესებელია სხვადასხვა რესურსები, მაგალითად საბიბლიოთეკო რესურსები, მონაცემთა ბაზები და ა.შ. ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ უნივერსიტეტი უფასო სწავლებას სთავაზობს სტუდენტებს. ასევე, დაწესებულება ღიაა უცხოელი სტუდენტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

თემურ ტუნაძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიულ გეგმაში იყო დუბლირებული აქტივობები, რომელთა გასწორებაც დაწყებულია. აგალითად, გასწორდა ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებ QMS-ში - მონაცემთა ბაზაში. ინსტიტუციამ მუშაობა დაიწყო განახლებულ ბიზნეს უწყვეტობის გეგმაზე. რეკომენდაციებში საუბარი იყო ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების თემაზე, რაზეც აღინიშნა, რომ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო/ სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის ფარგლებში დაწესებულებამ განავითარა ეს საკითხი. მათ ურთიერთობა აქვთ ბერნის უნივერსიტეტთან და ეს პროგრამა მნიშვნელოვანი არის აქტივობების თვალსაზრისით. სექტემბრიდან დაგეგმილია ინტენსიური საინფორმაციო შეხვედრები, როგორც აკადემიურ პერსონალთან, ისე პროგრამით დაინტერესებულ ყველა მხარესთან, მომზადებულია სპეციალიზებული აკადემიური წერის კურსი. ეს რეკომენდაცია გაიცა ხელოვნების პროგრამაზეც და გამზადდა კურსი, რომელიც ყველა პროგრამაში იქნება გამოყენებული და მასში გათვალისწინებულია კვლევების მხარდაჭერაც. საუბარი იყო მეტი არჩევითი კურსების ჩართვაზეც, ეს პრობლემა რამდენიმე კურსს ჰქონდა და ამაზეც დაწყებულია მუშაობა. რეკომენდაციებში საუბარი იყო დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზაზე, რომელთან მიმართებითაც აღინიშნა, რომ დაწესებულებას აქვს მემორანდუმი აჭარის დასაქმების სააგენტოსთან, რომლის რესურსებსაც ინტენსიურად იყენებს უნივერსიტეტი და წელიწადში ერთხელ სააგენტოს მონაწილეობით ხდება სტუდენტებთან შეხვედრა. ხელი წყლით მომარაგბასთან დაკავშირებული პრობლემაც აღმოიფხვრა. ასევე დაგეგმილია, რომ ცალკე გაიწეროს ბიბლიოთეკისა და კვლევითი კომპონენტის ხარჯები - ეს გათვალისწინებული ისედაც იყო, თუმცა ცალკე მუხლად არ იყო გამოტანილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

მიშა გურგენიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა როგორ ხდებოდა უცხოელი სტუდენტების მიღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის 20 კრედიტს. გარდა ამისა ხდება წინასწარი ტესტირება, იმისათვის, რომ განისაზღვროს მათი ცოდნის დონე. გარდა ამისა პროგრამაში არის დარგობრივი ინგლისური ენა, რომელიც დარგობრივ სპეციალიზებულ ინგლისურს ასწავლის. აღინიშნა, რომ დაწესებულების ძირითადი კონტინგენტი არიან ზემოაჭარის სოფლებიდან. სტუდენტები ინგლისური ენის გამოცდას ეროვნულებზე აბარებენ, თუმცა დამაკმაყოფილებელი არ არის მათი ის დონე, რომლითაც მიდიან უნივერსიტეტში. ამიტომ არის შემხვევები, როცა სპეციალური ინგლისური ენა არის შეთავაზებული მათთვის.

გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:25
დასრულების დრო: 12:30
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი 6 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ 247865289) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2500-ით.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 08 აგვისტოს.
საბოლოოდ რეკომენდაციები განისაზღვრა როგორც:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმებში წარმოდგენილი საქმიანობები/მოქმედების მიმართულებები მკაფიოდ შეესაბამებოდეს სათაურებს და არ ხდებოდეს მათი დუბლირება.
- რეკომენდებულია, ყველა საქმიანობისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიმართულების შემთხვევაში, დეტალურად იყოს განსაზღვრული საქმიანობის შინაარსი, პასუხისმგებელი ერთეულები, განხორციელების ვადა, დაგეგმილი ბიუჯეტი და შესრულების მაჩვენებლები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დააფუძნოს ძირითადი სტრუქტურული ერთეულები – სტრატეგიული განვითარების, კვლევების მხარდაჭერისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტები – რათა შეუწყოს ხელი შესაძლებლობების შეფასებასა და მომავალი განვითარების სტრატეგიულ დაგეგმვას. ეს ერთეულები შემდგომ უნივერსიტეტის სტრუქტურაშიც უნდა აისახოს.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის სტრუქტურაში, დებულების შესაბამისად, წარმოდგენილი იყოს ძირითადი სასწავლო ერთეულის მმართველი ორგანო და სტრუქტურულ ერთეულებში საკვანძო თანამდებობები შესაბამისი პირებით, რომლებიც რეალურად დაინიშნებიან ამ პოზიციებზე.
- რეკომენდებულია, მმართველობის (მენეჯმენტის) ეფექტიანობისა და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება და ამ პროცესში ყველა საჭირო სტრუქტურული ერთეულის ჩართვა.
- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში (QMS) განახლდეს ადამიანური რესურსების, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადაში.

- რეკომენდებულია, განახლდეს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რათა ყველა ძირითადი რისკ-ფაქტორი იყოს იდენტიფიცირებული და შეფასებული, დანერგილი იყოს შესაბამისი პრევენციის მექანიზმები და შემუშავდეს კომპლექსური რისკის შემცირების სტრატეგია.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება, თანამშრომლობის ქსელის გაფართოება და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების განხორციელება, რაც გაზრდის უნივერსიტეტის ცნობადობასა და ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების დანერგვას.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა, რომელიც დაეხმარება პროცესების გაუმჯობესებასა და მთლიანად ხარისხის ამაღლებას.
- რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეები (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) აქტიურად ჩაერთონ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში, რათა მათი მოლოდინები გათვალისწინებულ იქნას და პროგრამები უკეთ შეესაბამებოდეს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. შეფასების შედეგებისა და უკუკავშირის შესახებ შესაბამისი ანგარიშებიც უნდა მომზადდეს.
- რეკომენდებულია, გამჭვირვალობის გაძლიერება და დაინტერესებულ მხარეთა ნდობის ამაღლება; რეკომენდებულია უნივერსიტეტმა რეგულარულად მოამზადოს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების ანგარიშები და შედეგების საფუძველზე განხორციელებული ქმედებების შეჯამება.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა საინფორმაციო შეხვედრები ჩაატაროს აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან და სტუდენტებთან პლაგიატთან ბრძოლისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლება.
- რეკომენდებულია, პროგრამების განახლება და გაძლიერება თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირებით, რათა გაუმჯობესდეს კურსდამთავრებულთა პროფესიული კომპეტენციები და მათი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
- რეკომენდებულია, სწავლების სტანდარტიზაციის მექანიზმების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს კომპეტენციებზე დაფუძნებული და თანმიმდევრული განათლების უზრუნველყოფას.
- რეკომენდებულია, პროგრამებში ცალკე დაემატოს სპეციალიზებული აკადემიური წერის კურსი, რაც გააძლიერებს სტუდენტთა კვლევით და წერის უნარებს და გააუმჯობესებს მათ პროფესიულ მომზადებას.
- რეკომენდებულია, პროგრამებში ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება, რაც გააუმჯობესებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კომუნიკაციის უნარებს. ამისათვის საჭიროა დამატებითი კურსები, ინტენსიური სემინარები და პრაქტიკული ვორქშოფები, რომლებიც გააუმჯობესებს ენის აქტიურ გამოყენებას პროფესიულ და აკადემიურ გარემოში.
- რეკომენდებულია, არჩევით საგნებში მრავალფეროვნების გაზრდა სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, რათა მათ შეეძლოთ საგნების არჩევა არა მხოლოდ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში, არამედ მასთან მომიჯნავე პროგრამებიდანაც.
- რეკომენდებულია, ზოგადი განათლების სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამებში პედაგოგიური მოდულის საგნების გაძლიერება, რათა მომავალ მასწავლებლებს შესაბამისი უნარები განუვითარდეთ.

- რეკომენდებულია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტზე მორგებული სწავლების პრაქტიკის გაძლიერებასა და აკადემიური პროცესის მოქნილობის გაზრდას.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონის სამეცნიერო ნაშრომების კვლევის სიღრმე და ხარისხი შეესაბამებოდეს საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებს და საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს.
- რეკომენდებულია, ნაშრომების ფორმალური კრიტერიუმების დაზუსტება და ერთიანი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავება, რაც უზრუნველყოფს კვლევითი კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესებას.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს ანაზღაურებისა და წახალისების მკაფიოდ განსაზღვრული სისტემები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგებთან.
- რეკომენდებულია, სტუდენტური და მენეჯერულ დონეზე შეფასებების საფუძველზე ფორმალური, დოკუმენტირებული უკუკავშირის უზრუნველყოფა.
- რეკომენდებულია, პერსონალის შეფასების კრიტერიუმების, სამიზნე ნიშნულების სამუშაო აღწერილობებთან შესაბამისობის დაზუსტება და სისტემატიზაცია.
- რეკომენდებულია, მრავალწლიანი პროფესიული განვითარების სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა, მათ შორის საერთაშორისო ტრენინგების ჩათვლით.
- რეკომენდებულია, ინსტიტუციურ მმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პერსონალის არჩევითი მონაწილეობის გაზრდა.
- რეკომენდებულია, პერსონალის მხარდაჭერის გაძლიერება კვლევითი საქმიანობის დაფინანსებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე წვდომის მიზნით.
- რეკომენდებულია, პერსონალის რეგულარული სემესტრული შეფასებების დანერგვა ფორმალური, დოკუმენტირებული უკუკავშირით.
- რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვასა და შესრულებასთან დაკავშირებული წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება.
- რეკომენდებულია, კვლევითი საქმიანობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერის გაძლიერება.
- რეკომენდებულია საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება, რათა შეიქმნას სტუდენტთა მობილობის შესაძლებლობები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებგვერდის ფუნქციონირების გაუმჯობესება.
- რეკომენდებულია, სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციონირების ინიცირება.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებმა უზრუნველყონ დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა და რეგულარულად გაუზიარონ განახლებული ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიების შესახებ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.
- რეკომენდებულია, სამოქმედო გეგმაში კვლევის მხარდამჭერი ინიციატივების დაფინანსებასთან მკაფიოდ დაკავშირება.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის კვლევით სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა ეკონომიკურ და სხვა ორგანიზაციებთან.
- რეკომენდებულია კვლევითი საქმიანობის საკმარისი შიდა დაფინანსების უზრუნველყოფა კვლევის მთელი პროცესის განმავლობაში (საპროექტო განაცხადის მომზადებიდან დაწყებული, კვლევის განხორციელებით გაგრძელებული და კვლევის შედეგების გამოქვეყნებით დამთავრებული).
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის მომზადება კვლევითი საპროექტო განაცხადის დაწერის ცოდნასა და უნარებში, რომლებსაც გარე კონკურსებში წარმატების შანსი ექნებათ.

- რეკომენდებულია, ეფექტური ნაბიჯების გადადგმა აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებისკენ.
- რეკომენდებულია, კვლევის მიმართულებით კავშირების დასამყარებლად, დაწესებულებამ გამოიყენოს მოწვეული პერსონალის გამოცდილება.
- რეკომენდებულია, აკადემიური/კვლევითი პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სამიზნე ნიშნულების დადგენა და მიღწეული შედეგების რეგულარული შეფასება, რასაც მოჰყვება შესაბამისი უკუკავშირი მიღწეული შედეგების საფუძველზე.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა რეგულარულად გამოაქვეყნოს ანგარიშები განხორციელებული კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კვლევის მართვის და განვითარების ეფექტური გეგმა.
- რეკომენდებულია, სტუდენტური სივრცეებისა და უნივერსიტეტის ეზოს მოწესრიგება.
- რეკომენდებულია, ზოგიერთი მემორანდუმის განახლება სააკრედიტაციო მოთხოვნების გათვალისწინებით (სტაჟირების ხანგრძლივობა, სტაჟირებაზე მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა).
- რეკომენდებულია, კონკრეტული მექანიზმის შემუშავება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება და შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანი განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსები.
- რეკომენდებულია, კომპიუტერული აღჭურვილობის რაოდენობის გაზრდა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში.
- რეკომენდებულია, სანიტარული ობიექტებისა და სამედიცინო კაბინეტის ცხელი წყლით მომარაგებისა და გათბობის სისტემის გაუმჯობესება.
- რეკომენდებულია, სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ადაპტირებული გარემო.
- რეკომენდებულია, ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენების მიმართულებით მუშაობის გაძლიერება სტუდენტებსა და პერსონალს შორის.
- რეკომენდებულია, სასწავლო რესურსების განახლებასა და კატალოგის გაუმჯობესებაზე მუშაობის გაგრძელება.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ქართულენოვან და ინგლისურენოვან ვებგვერდებზე მუშაობის გააქტიურება და ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის განთავსება ინსტიტუციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპის ხელშეწყობის მიზნით.
- რეკომენდებულია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის საორიენტაციო ბიუჯეტის შემუშავება შემოსავლებისა ხარჯების ნაწილში, როგორც მთლიანად უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტების ბიუჯეტების დონეზე.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ბიუჯეტში ცალკე ხარჯვითი მუხლების გამოყოფა ბიბლიოთეკის განვითარებისა და კვლევის განხორციელება/ხელშეწყობისთვის.
- რეკომენდებულია, ფინანსური ანგარიშგებებისა და ბიუჯეტების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- რეკომენდებულია, ფინანსური დაგეგმვისა და მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება/დანერგვა, რომელიც აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ჩართავს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ბიუჯეტის შემუშვების პროცესში, რითაც სახსრების განაწილების პროცესი უფრო მონაწილეობითი და გამჭვირვალე გახდება. ეს, თავის მხრივ, გააძლიერებს სახსრების ეფექტურ განაწილებას, პერსონალის პასუხისმგებლობასა და ურთიერთკონტროლს.

საბჭოს სხდომა დატოვა ზურაბ ორჯონიკიძემ.

2. სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხთან მიმართებით კანონით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების შემოწმება. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 11-12 ივლისს. დაწესებულების მიზანი იყო სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა 800-დან 1600-მდე. შესაბამისად შეფასება განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით, როგორიცაა სასწავლო ფართი, ბიბლიოთეკის რესურსები, პრაქტიკის ობიექტები, ადამიანური რესურსები. აღნიშნული ანალიზი ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პრაქტიკის ობიექტებზე დაწესებულების სპეციფიკურობიდან გამომდინარე. უნივერსიტეტის სასწავლო ფართი მოიცავს 3 ძირითად ლოკაციას და ის ერთიანობაში შეადგენს 2923 კვ. მეტრს. ამ მონაცემების გათვალისწინებით 1600 სტუდენტიდან 1 სტუდენტზე გამოდის, დაახლოებით, 1.83 კვ. მეტრი, თუმცა თუ გავითვალისწინებთ სპეციფიკას, სწავლების პროცესის 30% მიმდინარეობს უნივერსიტეტს გარეთ. ამ შემთხვევაში სტუდენტზე გამოდის 2.63 კვ.მ. რაზეც ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სავსებით მისაღებია. მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ბიბლიოთეკის არასაკმარისი ფართი. ერთ სტუდენტზე არის დაახლოებით 2.002 კვ.მ. მაშინაც კი თუ პრაქტიკაზე მყოფ 30%-ს გამოვაკლებთ მაჩვენებელი 2.0008-მდე ადის. საბოლოო ჯამში, ბიბლიოთეკის გაფართოება აუცილებელია მინიმუმ 200-300 კვ. მეტრამდე. რაც შეეხება ადამიანურ რესურსებს, ამ კუტხით მდგომარეობა ნორმალურია. მიუხედავად ამგამოწვევებისა სტუდენტს შეუძლია ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღება. ამასთან, რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის მონაცემების საფუძველზე უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტუდენტების კონტინგენტის ცვალებადობა, სტუდენტთა სტატუსისა თუ ჩარიცხვის ცვლილებები. უზრუნველყოს დადგენილი ზღვრული რაოდენობის ფარგლებში სტუდენტთა კონტინგენტის დაბალანსება. მეორე რეკომენდაცია ეხება ადამიანური რესურსებს, რაც გულისხმობს ეფექტიანობის მიზნით დაწესებულებამ აღმოფხვრას ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული შეუსაბამობები და დანერგოს პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ეფექტური მექანიზმი. მესამე

რეკომენდაციის თანახმად დაწესებულებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს პერსონალის ფაქტობრივი რაოდენობა, გაზარდოს ასისტენტპროფესორებისა და ასისტენტების ხვედრითი წილი აკადემიური პერსონალის შესაბამის რაოდენობაში. მეოთხე რეკომენდაცია ეხება პერსონალის დატვირთვას და ამ დატვირთვის განსაზღვრისას აუცილებელია გაითვალისწინოს დაწესებულებამ და შესაბამის პორტალზე ასახოს სრული დატვირთვა. მეხუთე რეკომენდაცია ეხება ვებგვარდის განახლებას. მეექვსე რეკომენდაციის თანახმად სწავლის შედეგების დაგეგვმის პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. მერვე რეკომენდააცია ეხება იმას, რომ ბიუჯეტში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს საბიბლიოთეკო რესურსები. მეცხრე რეკომენდაცია ეხება ბიბლიოთეკის ფართის გაზრდას. ხოლო მეათე რეკომენდაცია ეხება ბარტერის განსაზღვრას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

მაია ხურცილავამ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს რისკების მართვის მექანიზმები, რომლებიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობასა და რეგულაციებს. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება მომავალი წლის მისაღები რაოდენობა. ამ პროცესით გათვალისწინებულია როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის მონაცემები, ისე ის მოსალოდნელი შედეგები, რაც არსებობს. ასევე ხდება მონაცემთა მობილობის დროს ფაქტობრივი ანალიზი, აქედან გამომდინარე დაწესებულებამ რამდენიმე მობილობაში ვერ მიიღო მონაწილეობა. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშრებით აღინიშნა, რომ დაწესებულება საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს ამ საკითხს. თვითონ მართვის პროცესების გამჭვირვალობას, ეფექტურობას. პერსონალის შესახებ ინფორმაციის მოწოდება დამუშავებას ემსახურება სპეციალური სამსახური და ამ მიმართულებითაც გააძლიერებს ინსტიტუცია მუშაობას. აკადემიურ პერსონალთა დაგეგმვასთან დაკავშრებით ხაზი გაესვა იმასაც, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალის სავალდებულო მინიმალური რაოდენობით. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ითქვა, რომ აუცილებლად უზრუნველყოფილი იქნება ვებგვერდზე დროულად გამოქვეყნდეს ინფორმაციები. მერვე რეკომენდაციაში გამოთქმულ საკითხზე უნივერსიტეტი ძალისხმევას არ იშურებს და აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. საბიბლიოთეკო სივრცე გაერთიანდა ერთ მისამართზე და დაემატა ოთახები. დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯემალ ძაგანიამ აღნიშნა, რომ პროგრამებში 240 კრედიტიდან დაახლოებით 80 კრედიტი ეთმობა სპორტის საგნებს, მხოლოდ სპეციალიზაციის სტუდენტებისთვის დათმობილია 25 კრედიტი 4 წლის განმავლობაში. გარდა ამისა აკადემიურ სავალდებულო საგნად ითვლება ტანვარჯიში, ცურვა და მძლეოსნობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
კითხვები არ იყო, გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 12:50
დასრულების დრო: 12:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტსს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1 400-ით.
აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 08 აგვისტოს.

საბჭო დახურულად გამოცხადდა 13:00 საათზე.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ